

შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ვასილ წაქაძე ირაკლი გუგუჩია
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	vtsakadze@geostat.ge iguguchia@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (600) +995 32 236 72 10 (610)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 30 მაისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 30 მაისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 30 მაისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მიზანია მოსახლეობის შემოსავლების, ხარჯების, მოხმარების, საცხოვრებელი პირობებისა და ამ მაჩვენებლების წლიური ცვლილების შესახებ მონაცემების მიღება.	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
<ul style="list-style-type: none"> • დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი (COICOP); • ეკონომიკური საქმიანობის სახეები სეკ (NACE Rev. 2) 006-2016. 	
3.3. სექტორის მოცვა	
მოიცავს ქვეყნის ყველა კერძო შინამეურნეობას. დაკვირვების ერთეული არის შემთხვევითად შერჩეული შინამეურნეობა, მიუხედავად შინამეურნეობაში არსებული წევრების რაოდენობისა და მათი მატერიალური მდგომარეობისა.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისგანაც).</p> <p>ცხოვრების დონე გულისხმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი.</p> <p>შინამეურნეობების შემოსავლები მოიცავს შინამეურნეობის და მისი წევრების ყველა შემოსულობას გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შემოსავალი (ფულადი და არაფულადი სახსრები) შედგება ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების, არაფულადი შემოსავლებისა და სხვა ფულადი სახსრებისაგან. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები მოიცავს შემოსავლებს დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქირავებიდან, ანაზღაურებებიდან (პროცენტი), პენსიებს, სტიპენდიებს, დახმარებებს, უცხოეთიდან მიღებულ გზავნილებს და საჩუქრად მიღებულ ფულს. სხვა ფულადი სახსრები მოიცავს ქონების გაყიდვით, ფულის სესხებით ან დანაზოგის გამოყენებით მიღებულ შემოსავლებს.</p> <p>• შემოსავლები დაქირავებული შრომიდან – ხელფასი ან სხვა ანაზღაურება ფულით ან ნატურით, პრემიები,</p>	

საჩუქრები, ერთჯერადი დახმარებები;

- **შემოსავლები თვითდასაქმებიდან** – წმინდა შემოსავალი (თვითდასაქმება – მესაკუთრის საქმიანობა, რომლის შემოსავალი დამოკიდებულია მისი მუშაობის საბოლოო შედეგებზე, მოგებაზე);
- **შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან** – საკუთარ მამულში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა;
- **შემოსავლები ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრებიდან)** – შემოსავლები წილიდან, დივიდენდები აქციებიდან, პროცენტი ობლიგაციებიდან ან ანაზრებიდან, ქირა საკუთრების გაქირავებიდან;
- **პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები** – მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ომის ინვალიდთა, მონაწილეთა ან მათთან გათანაბრებულ პირთა და სხვა სპეციალური პენსიები, სტიპენდია, დროებითი შრომისუუნარობის გამო (ავადმყოფობის, მშობიარობის) მიღებული შემოსავალი, დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი, სოციალურად დაუცველი ოჯახების, მარტოხელა პენსიონერებისა და ინვალიდების, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება, ალიმენტი, დაფინანსება გრანტის სახით;
- **უცხოეთიდან მიღებული გზავნილები** – საზღვარგარეთიდან მიღებული ფული ან გზავნილების ღირებულება;
- **საჩუქრად მიღებული ფული** – სხვა შინამეურნეობების წევრებისაგან საჩუქრის ან დახმარების სახით მიღებული შემოსავალი;
- **ქონების გაყიდვა** – ბინის, აგარაკის, სხვა ნაგებობის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის, ტანსაცმლის, მიწის და ა.შ. გაყიდვით მიღებული შემოსავალი;
- **ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება** – ფულის სესხება სხვა შინამეურნეობისგან ან ორგანიზაციისგან ან შინამეურნეობის დანაზოგის გამოყენება სამომხმარებლო ხარჯების გაწევის მიზნით;
- **არაფულადი შემოსავლები** – საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული, ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული პროდუქციის ღირებულება, გამოთვლილი გამოსაკვლევი პერიოდის საშუალო ფასებით.

შინამეურნეობების ხარჯები მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყველა დანახარჯს გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი ხარჯები შედგება სამომხმარებლო ფულადი ხარჯების, არაფულადი ხარჯებისა და არასამომხმარებლო ფულადი ხარჯებისაგან. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს დანახარჯებს სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე და სხვა სამომხმარებლო ხარჯებს. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ხარჯებს, დანახარჯებს ტრანსფერტებზე, დაზოგვაზე ან გასესხებაზე და ქონების შეძენაზე.

- **ხარჯები სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე** მოიცავს დანახარჯებს კვების პროდუქტებზე (პური და პურპროდუქტები, ხორცის პროდუქტები, თევზეული, რძე და რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, საკონდიტრო ნაწარმი და ა.შ.), უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლიან სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე;
- **ხარჯები ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე** მოიცავს დანახარჯებს ქალის, მამაკაცის და ბავშვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, მათი შეკეთების, შეკერვის, ქიმწმენდის, ღებვის და დაქირავების თანხების ჩათვლით. ასევე მოიცავს ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული (ნაჩუქარი) ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ღირებულებას;
- **ხარჯები საოჯახო მოხმარების საქონელზე** მოიცავს დანახარჯებს ავეჯზე, საფეიქრო ნაწარმზე, ჭურჭელზე, საოჯახო ტექნიკასა და მოწყობილობებზე, სამუშაო იარაღებზე, სისუფთავის დასაცავ საქონელზე, შინამომსახურებაზე, სახლის მოვლაზე და ა.შ. ასევე მოიცავს ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული (ნაჩუქარი) ნივთების ღირებულებას;
- **ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე** მოიცავს დანახარჯებს ფარმაცევტულ ნაწარმზე, თერაპიულ ხელსაწყოებსა და მოწყობილობებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, სამედიცინო ლაბორატორიების მომსახურებაზე, ანალიზებზე, საავადმყოფოების მომსახურებაზე და ა.შ. ასევე მოიცავს ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული ნაწარმისა და მომსახურების ღირებულებას;
- **ხარჯები საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე** მოიცავს დაქირავებულ ძირითად საცხოვრებელზე გადახდილ ქირას, დანახარჯებს საცხოვრებლის საექსპლუატაციო და სარემონტო მომსახურებაზე, წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადებზე, მათი მრიცხველების შეძენასა და შეკეთებაზე, გათხევადებულ აირსა და მყარ საწვავზე, ცენტრალურ გათბობაზე და ა.შ. ასევე მოიცავს ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ღირებულებას;
- **ხარჯები ტრანსპორტზე** მოიცავს დანახარჯებს ავტომობილებზე, მოტოციკლებზე, ველოსიპედებზე,

ცხოველთა ძალით მოძრავ ტრანსპორტზე, სათადარიგო ნაწილებსა და მოწყობილობებზე, საწვავ-საპოხ მასალებზე, მოვლა-შეკეთებაზე, სამგზავრო სარკინიგზო, სამოქალაქო საგზაო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტით მგზავრობაზე და ა.შ. ასევე მოიცავს ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ღირებულებას;

- **ხარჯები განათლებაზე** მოიცავს დანახარჯებს სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს განათლებაზე, ტრენინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და ა.შ. ასევე მოიცავს ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული მომსახურების ღირებულებას;
- **სასოფლო-სამეურნეო ხარჯები** მოიცავს დანახარჯებს მიწის გადასახადებზე და იჯარაზე, სასუქების და შხამქიმიკატების შეძენაზე, თესვზე, ტექნიკის დაქირავებაზე, მიწის ხვნასა და კულტივირებაზე, ვეტერინარულ მომსახურებაზე, პირუტყვისა და ფრინველის საკვებზე და ა.შ. ასევე მოიცავს ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას;
- **ხარჯები ტრანსფერტებზე** მოიცავს დანახარჯებს საჩუქრებზე, გაჩუქებული ფულის, მემკვიდრეობით ან საჩუქრის სახით გაცემული ბინის, აგარაკის, ავტომობილის, ძვირფასი ქვების, ავეჯის და ა.შ. ღირებულებას;
- **ხარჯები დაზოგვაზე ან გასესხებაზე** მოიცავს გასესხებული ფულის, შინამეურნეობის მიერ გაკეთებული დანაზოგის, საბანკო ანგარიშზე შეტანილი თანხის, გადახდილი ვალის, დაფარული კრედიტის, დაფარული ნისიის და მიუღებელი შემოსავლების მოცულობის ჯამს განსაზღვრული პერიოდისთვის;
- **ხარჯები ქონების შეძენაზე** მოიცავს დანახარჯებს შედარებით ძვირადღირებული საქონლის (აქციები, კაპიტალი, მიწა, ანტიკვარული და უნიკალური ნივთები, ძვირფასი ქვები, ბინა, აგარაკი და ა.შ.) შეძენაზე, საკედლე მასალებზე, რკინის მასალებზე, საბურღე მასალებზე, კარ-ფანჯარაზე, ელექტროგაყვანილობაზე, მიკროავტობუსზე ან სატვირთო ავტომობილზე, ტრაქტორზე, მინი ტრაქტორზე ან მოტობლოკზე, ხის ან ლითონდასამუშავებელ მოწყობილობებზე, პროდუქტიული ან გამოსაზრდელი შინაური ცხოველების და ფრინველების შეძენაზე და ა.შ.;
- **არაფულადი ხარჯები** – საკუთარი წარმოების პროდუქტების, ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისგან უსასყიდლოდ მიღებული მოხმარებული პროდუქტების ღირებულება, გამოთვლილი გამოსაკვლევი პერიოდის საშუალო ფასებით.

3.5. სტატისტიკური ერთეული
შინამეურნეობა.
3.6. სტატისტიკური პოპულაცია
გენერალური ერთობლიობა, საიდანაც ხდება შერჩევა, მოიცავს ქვეყნის ყველა კერძო შინამეურნეობას.
3.7. საანგარიშო არეალი
გამოკვლევა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი) გარდა.
3.8. დროის მოცვა
1997 წლიდან.
3.9. საბაზო პერიოდი
-

4. ზომის ერთეული
მილიონი ლარი, ლარი.

5. საანგარიშო პერიოდი
წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
-

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
- კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
 - კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ან არასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
 - კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.
- <https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf>
2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
<https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf>
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს-რელიზები

პრეს-რელიზი შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების შესახებ:
<https://www.geostat.ge/ka/single-news/3451/tskhovrebis-donis-machveneblebi-shinameurneobebis-shemosavlebi-dakharjebi-2024-tseli>

10.2. პუბლიკაციები

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული:
<https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli>

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებსაიტზე მონაცემთა გავრცელების პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში:
<https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database>

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

„კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი სამეცნიერო პროგრესის ხელშესაწყობად მომხმარებლებს აძლევს საშუალებას მიიღონ წვდომა ინდივიდუალურ მონაცემებზე. ინდივიდუალური მონაცემების ფაილებში წაშლილია ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი, როგორცაა, მაგალითად, პირადი ნომერი, მისამართი და სახელი. ექსტრემალური მნიშვნელობები და მსგავსი არაპირდაპირი იდენტიფიკატორები კი მოსწორებულია შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. გამჟღავნების რისკის მინიმუმამდე დასაცვანად ყველა ფაილი სათანადოდ არის ანონიმიზებული:

<https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf>

2009-2016 წლების შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის და 2017-2024 წლების შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ანონიმიზებული მიკრომონაცემები SPSS-ის ფორმატში ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirbuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlevisa-dakharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi>

10.5. სხვა

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის თანახმად, სტატისტიკური მონაცემები საჯაროა და საქსტატი უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის, მათი ელექტრონული თუ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევის მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე:

<https://geostat.ge/media/20576/Handbook-Of-Household-Surveys-%28Revised-Edition%29.zip>

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).

11.2. ხარისხის შეფასება

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად

პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლები არიან სახელმწიფო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროსტატი, გაერო და მისი რეგიონული და სპეციალიზებული დაწესებულებები, მსოფლიო ბანკი და სხვ.), ბიზნესი, მედია, მკვლევარები, სტუდენტები და კერძო პირები.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა																										
13.1. ზოგადი სიზუსტე																										
შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს. ჩვეულებრივ ამ პროცესს თან ახლავს სტატისტიკური ცდომილების არსებობა. შესაბამისად, გამოკვლევის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შერჩევის სტანდარტული ცდომილება.																										
13.2. შერჩევითი ცდომილება																										
2024 წელს შერჩევის ზომა იყო 17 280 შინამეურნეობა, გამოიკითხა 13 105 შინამეურნეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. შინამეურნეობების გამოკვლევის მაჩვენებელმა (გამოკვლევაში მონაწილე და გამოკვლევისათვის შერჩეული შინამეურნეობების ფარდობა), შეადგინა 75.8 პროცენტი. ცხრილში წარმოდგენილია მაჩვენებლების სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი, ვარიაციის კოეფიციენტი და დიზაინ ეფექტი:																										
<table border="1"> <thead> <tr> <th rowspan="2"></th> <th rowspan="2">სტანდარტული ცდომილება, ლარი</th> <th colspan="2">95% ნდობის ინტერვალი, ლარი</th> <th rowspan="2">ვარიაციის კოეფიციენტი, %</th> <th rowspan="2">დიზაინ ეფექტი</th> </tr> <tr> <th>ქვედა ზღვარი</th> <th>ზედა ზღვარი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>სამომხმარებლო ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (სამომხმარებლო ფულადი ხარჯებისა და არაფულადი ხარჯების ჯამი)</td> <td>14.8</td> <td>1 277.0</td> <td>1 335.0</td> <td>1.1</td> <td>3.1</td> </tr> <tr> <td>ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი და არაფულადი ხარჯების ჯამი)</td> <td>21.5</td> <td>1 693.5</td> <td>1 777.8</td> <td>1.2</td> <td>2.7</td> </tr> <tr> <td>შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი შემოსავლების, ტრანსფერტებისა და არაფულადი შემოსავლების ჯამი)</td> <td>20.2</td> <td>1 767.2</td> <td>1 846.5</td> <td>1.1</td> <td>2.9</td> </tr> </tbody> </table>		სტანდარტული ცდომილება, ლარი	95% ნდობის ინტერვალი, ლარი		ვარიაციის კოეფიციენტი, %	დიზაინ ეფექტი	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	სამომხმარებლო ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (სამომხმარებლო ფულადი ხარჯებისა და არაფულადი ხარჯების ჯამი)	14.8	1 277.0	1 335.0	1.1	3.1	ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი და არაფულადი ხარჯების ჯამი)	21.5	1 693.5	1 777.8	1.2	2.7	შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი შემოსავლების, ტრანსფერტებისა და არაფულადი შემოსავლების ჯამი)	20.2	1 767.2	1 846.5	1.1	2.9
			სტანდარტული ცდომილება, ლარი	95% ნდობის ინტერვალი, ლარი			ვარიაციის კოეფიციენტი, %	დიზაინ ეფექტი																		
	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი																								
სამომხმარებლო ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (სამომხმარებლო ფულადი ხარჯებისა და არაფულადი ხარჯების ჯამი)	14.8	1 277.0	1 335.0	1.1	3.1																					
ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი და არაფულადი ხარჯების ჯამი)	21.5	1 693.5	1 777.8	1.2	2.7																					
შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი შემოსავლების, ტრანსფერტებისა და არაფულადი შემოსავლების ჯამი)	20.2	1 767.2	1 846.5	1.1	2.9																					

ფულადი და არაფულადი სახსრები ერთ შინამეურნეობაზე, სულ (ფულადი სახსრებისა და არაფულადი შემოსავლების ჯამი)	21.3	1 853.8	1 937.5	1.1	2.7
----------------------------------------------------------------------------------------------------------	------	---------	---------	-----	-----

13.3. არაშერჩევითი ცდომილება
 არაშერჩევითი ცდომილება შესაძლოა განპირობებული იყოს შერჩევის ბაზის უზუსტობებით. ვინაიდან რესპონდენტთა შერჩევა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევისთვის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზიდან ხორციელდება, შერჩევის ჩარჩოს განახლება უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს. არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს გამოუპასუხებლობით – რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარით ან არასრულად მოწოდებით. არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება განპირობებული იყოს რიგი სხვა მიზეზებითაც.

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
 წლიური მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის მაისში.
14.2. პუნქტუალურობა
 მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
 გამოყენებული მეთოდოლოგია შესადარისია რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.
15.2. შესადარისობა – დროში
 მონაცემები დროში შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
 მონაცემები თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
 მონაცემები თანამიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა

- გამოკვლევაში ჩართულია დაახლოებით 130-140 ინტერვიუერი 11 რეგიონულ ოფისში;
- ლოგიკური კონტროლის ჯგუფის 4 წევრი და 3 ოპერატორი;
- მონაცემთა ბაზის გაწმენდით დაკავებულია სამმართველოს 6 თანამშრომელი;
- ყოველთვიურად გამოიკითხება 4 320/3=1 440 შინამეურნეობა, კვარტალში – 4 320 შინამეურნეობა;
- საწყისი და მომდევნო ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 1 სთ–1 სთ 20 წთ;
- გარდა ამისა, თითოეული შინამეურნეობა ავსებს ხარჯების დღიურს, რომელიც მოიცავს შინამეურნეობის წევრების მიერ გასული ერთი კვირის განმავლობაში სასურსათო და არასასურსათო საქონელზე გაწეულ ხარჯებს. დღიურის შევსებაზე დახარჯული დრო დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და მისი შეფასება შეუძლებელია.

შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ბიუჯეტმა 2024 წელს შეადგინა 519.8 ათასი ლარი.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
 სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
 მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2024 წელს არ მომხდარა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა (2017 წლამდე – შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა). შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა (2017 წლამდე – 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა). შერჩევაში შემოსული ახალი უზნებისთვის ხორციელდება ხელახალი აღწერა (აქტუალიზაცია). შერჩევის ჩარჩოდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა შინამეურნეობების წინასწარ დადგენილი რაოდენობა. შერჩევა ხდება სპეციალურად შემუშავებული პროგრამის საშუალებით.

შემთხვევითი შერჩევის დიზაინისას გამოიყენება ორსაფეხურიანი სტრატეგიცირებული კლასტერული შემთხვევითი შერჩევა. პირველ საფეხურზე ხდება სააღწერო უზნების შერჩევა, ხოლო მეორე საფეხურზე – შინამეურნეობების მისამართების. გარდა ამისა, შერჩევის ცდომილების შესამცირებლად შემოღებული იქნა სტრატეგიცირება.

2017 წლიდან თითოეული შინამეურნეობა გამოიკითხება 2-2-2 როტაციული წესის დაცვით. რაც გულისხმობს, რომ ორი კვარტლის განმავლობაში გამოიკითხვა ხდება მიყოლებით ორჯერ, მესამე და მეოთხე გამოიკითხვა ტარდება მომდევნო წლის იმავე კვარტლებში, როდესაც ჩატარდა პირველი და მეორე ინტერვიუ. 2017 წლამდე თითოეული შინამეურნეობა ოთხი კვარტლის განმავლობაში მიყოლებით გამოიკითხებოდა ოთხჯერ.

ყოველ თვეში შერჩევიდან გადიან ის შინამეურნეობები, რომლებიც შერჩევაში მონაწილეობდნენ ოთხი კვარტლის განმავლობაში და მათ ნაცვლად, შემთხვევითი წესით შეირჩევა სხვა შინამეურნეობები იმავე კლასტერიდან (შინამეურნეობების როტაცია). როტაციის მოცემული სქემა საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, განვაახლოთ შერჩევა, ხოლო მეორე მხრივ – ქმნის პანელურ კვლევას, რაც აუცილებელია სიღარიბის შესწავლისათვის.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

პირველადი მონაცემები გროვდება ყოველთვიურად.

18.3. მონაცემთა შეგროვება

მონაცემების შესაგროვებლად ინტერვიუერი მიდის რესპონდენტ შინამეურნეობაში და ავსებს ხუთ კითხვარს (პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით – CAPI). მეექვსე კითხვარი – ხარჯების დღიური (ბეჭდური ვერსია) განკუთვნილია შინამეურნეობაში დასატოვებლად. იგი მოიცავს შინამეურნეობის წევრების მიერ გასული ერთი კვირის განმავლობაში სასურსათო და არასასურსათო საქონელზე გაწეულ ხარჯებს. ხარჯების დღიური ივსება ერთი კვირის განმავლობაში შინამეურნეობის მიერ ინტერვიუერისგან მიღებული მითითებების მიხედვით; ამისთვის ინტერვიუერი ახორციელებს 3 ვიზიტს შინამეურნეობაში. ინტერვიუერი შერჩეული უზნის დონეზე ავსებს მეშვიდე კითხვარს – უარების ფურცელს, სადაც ფიქსირდება გამოუპასუხებლობის მიზეზები.

კითხვარების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ვებსაიტზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/560/shinameurneobebze-dakvirveba>

18.4. მონაცემთა კონტროლი

რესპონდენტისგან მიღებული მონაცემების კონტროლი თავდაპირველად ხორციელდება ინტერვიუს მსვლელობისას პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით, ელექტრონულ კითხვარებში ინტეგრირებული ძირითადი ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლების საშუალებით. გამოკითხვის ჩატარების დროს თუ დაფიქსირდება შეუსაბამო რესპონდენტის მიერ მოწოდებულ მონაცემებს შორის, ინტერვიუერი ადგილზე დააზუსტებს პასუხებს. შევსებულ ელექტრონულ კითხვარებს ინტერვიუერები უგზავნიან საველი სამუშაოების ზედამხედველებს სპეციალური პროგრამის მეშვეობით, ხოლო ზედამხედველები – ლოგიკური კონტროლის ჯგუფის თანამშრომლებს. საეჭვო მონაცემის ან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, კითხვარი დასაზუსტებლად/გადასამოწმებლად უბრუნდება ინტერვიუერს. დაზუსტებული კითხვარი იგზავნება სათავო ოფისში.

შინამეურნეობის მიერ შევსებული ხარჯების დღიურის (ბეჭდური ვერსია) მონაცემების ორმაგი ჩაწერა ყოველთვიურად ხდება ოპერატორთა ჯგუფის მიერ მასალის მიღებიდან 10-15 დღის ვადაში (გამოკითხვისთვის დასრულებიდან მე-15-მე-20 დღე). ორმაგი ჩაწერის მიზანია ოპერატორის მიერ შეცდომის დაშვების თავიდან აცილება. პირველად და მეორედ შეყვანილ მონაცემებს შორის რაიმე სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სპეციალურად შემუშავებული პროგრამა მიაჩინებს განსხვავებაზე. ოპერატორი ვალდებულია დააზუსტოს, რომელი პასუხია სწორი და შეიტანოს სწორი მონაცემები ბაზაში. მასალის ბაზაში ჩაწერის შემდეგ სპეციალურად შემუშავებულ პროგრამაში ჩადებული კონტროლების

საშუალებით ხდება მონაცემების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი – პროგრამა აჩვენებს კითხვარში არსებულ შეუსაბამობებს. შეცდომის დაფიქსირების შემთხვევაში, ლოგიკური კონტროლის ჯგუფი ახორციელებს მონაცემების კორექტირებას ინტერვიუერთან/ზედამხედველთან ან/და რესპონდენტთან დაკავშირებისა და მათგან მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე. საბოლოოდ, ხდება მთლიანი მონაცემთა ბაზის გაწმენდა, ანუ ლოგიკური უზუსტობების იდენტიფიცირება ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ Microsoft Access-ის გამოყენებით. ასევე ხორციელდება მონაცემთა შესაბამისობის შემოწმება კითხვარებსა და კვარტლებს შორის.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

კვარტალის მონაცემთა ბაზის გაწმენდის დასრულების შემდეგ ხდება აგრეგირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემების შეწონვა. მონაცემთა შეწონვა ხორციელდება სტრატა-პანელის დონეზე. შედეგების გაანგარიშება ხორციელდება MS Access-ის, MS Excel-სა და SPSS-ის გამოყენებით.

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი

-